

ანგარიში

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის

გოჩა შავაძის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტებით.

საკრებულოს ხელმძღვანელობა აქტიურად მონაწილეობს ქვემო ქართლის გუბერნატორთან არსებულ საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრებში. საბჭოს ძირითად მიზანს წარმოადგენს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დახმარება, მათთვის რეკომენდაციების გაწევა და ადგილობრივი პრობლემების ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიტანა.

2015 წლის საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საკრებულოსა და საზოგადოების ურთიერთობის პრინციპები. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საკრებულოს საქმიანობაში ჩართულობის უზრუნველსაყოფად საკრებულოს მიერ მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული კანონმდებლობის შესაბამისად. დაიხვეწა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სისტემა, დოკუმენტებზე მუშაობის, ნორმატიული აქტების მომზადება-გამოცემისა და საჯარო ინფორმაციების გაცემის პრაქტიკა.

მოწესრიგდა ცალკეული სამართლებრივი აქტების პროექტების მერიიდან საკრებულოში შემოტანის პრაქტიკა,

საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მიერ საკრებულოში შემოვიდა 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადების სრული დაცვით, რომელიც დაეგზავნა საკრებულოში არსებულ კომისიებს და ფრაქციებს განსახილველად, რათა წარმოედგინათ აღნიშნულ ბიუჯეტზე შენიშვნები და მოსაზრებები. ასევე 2016 წლის ბიუჯეტი გამოქვეყნებულ იქნა მუნიციპალიტეტის ვებ.გვერდზე, სადაც თითოეულ მოქალაქეს, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ ჩართულიყვნენ 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვაში და წარმოედგინათ თავიანთი მოსაზრებები და წინადადებები. 2016 წლის ქალაქ რუსთავის ადგილობრივ ბიუჯეტში პრიორიტეტულია სოციალური, ჯანდაცვისა და ინფრასტრუქტურული საკითხები. ბიუჯეტთან დაკავშირებით საკრებულოს მხრიდან გამოთქმული იყო შენიშვნები, რომელიც კანონით დადგენილ ვადაში დაუბრუნდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერს. 2016 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნა შენიშვნები და დამტკიცდა საკრებულოში ხმათა უმრავლესობით.

მინდა ასევე აღვნიშნო, რომ 2015 წლისთვის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 18 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და 8 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლებიც პროგრამით გათვალისწინებულ ფარგლებში ახდენენ სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურულ, სოციალურ, ჯანდაცვით და კულტურულ ღონისძიებებს. საკრებულოს შესაბამის კომისიებში ხორციელდება ა(ა)იპ-ების და შპს-ს დირექტორების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების მოსმენა გაწეული მუშაოების თობაზე.

ასევე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წლის განმავლობაში შემოვიდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც განხილული იქნა შესაბამისი კომისიებისა და ბიუროს მიერ. კერძოდ ეს პროექტები შეეხებოდა ქალაქის იერსახის, გზებისა და ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ტროტუარების მოწესრიგებას, სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაციას, სანიაღვრე არხების მოწყობას, სკოლამდელი დაწესებულებების სარემონტო სამუშაოებს, რომლის უმრავლესობა დამთავრდა, ხოლო დანარჩენ პროექტებზე დღესაც მიმდინარეობს სამუშაოები.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებულია საკრებულოს 5 კომისია. კომისიები მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართულები მუნიციპალიტეტის მხარდაჭერის, სოციალური და ინფრასტრუქტურული მიზნობრივი პროგრამების, აგრეთვე კულტურული და სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა – განხორციელებისა და სხვა ამოცანების გადაწყვეტის საქმიანობაში. ახდენდნენ საკრებულოს ბიუროსა და სხდომებზე განსახილველ საკითხებზე დასკვნების მომზადებას.

მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოს ყველა წევრი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებში, აქტიურად ხვდებიან მოსახლეობას, ისმენენ მათ პრობლემებს და ცდილობენ შესაძლებლობის ფარგლებში აღმოუჩინონ შესაბამისი დახმარება, მიმაჩნია, რომ კიდევ უფრო სისტემატიური ხასიათი უნდა მიეცეს საკრებულოს წევრების მოსახლეობასთან ურთიერთობასა და შეხვედრებს. ასევე აუცილებელია მაჟორიტარი დეპუტატების მეტი აქტიურობა მოსახლეობასთან შეხვედრებისა და ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტის ორგანიზების საქმიანობაში.

ვარ საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრი და ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ ჩატარებული იქნა სულ 26 სხდომა, დავესწარი 22 სხდომას, ხოლო „ფრაქცია ქართული ოცნების“ მიერ ჩატარდა სულ 9 სხდომა, დავესწარი 3 სხდომას.

2015 წლის განმავლობაში ჩატარდა საკრებულოს 30 სხდომა აქედან 12 გეგმიური და 18 რიგგარეშე, დავესწარი 26 სხდომას, თავმჯდომარეობდი 2 სხდომას. სულ განხილული და მიღებული იქნა 479 განკარგულება და 92 დადგენილება. ასევე 2015 წლის განმავლობაში ჩატარდა საკრებულოს ბიუროს 28 სხდომა, დავესწარი 24 სხდომას, თავმჯდომარეობდი 1 სხდომას, რომელზეც სხვადასხვა საკითხებთან ერთად განხილული იქნა საკრებულოს სხდომებზე გასატანი საკითხები. მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა მიღებული

სამართლებრივი აქტების შესრულების მიმდინარეობას და კონტროლს. საკრებულოს სხდომების გამართვის შესახებ ინფორმაცია დროულად ქვეყნდება და ყველა მსურველს აქვს საშუალება დაესწროს სხდომების მიმდინარეობას.

საკრებულოს მიერ მიღებულ დადგენილებებთან დაკავშირებით აღსაღნიშნავია ის, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოგზავნილი სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები ფაქტობრივად არ დაფიქსირებულა. მიღებული შენიშვნები შეეხებოდა ტექნიკურ ხარვეზებს, რის საფუძველზეც შეტანილ იქნა სათანადო ცვლილებები შესაბამის დადგენილებებში.

როგორც ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ყოველდღიურად ვახდენდი საკრებულოში მოქალაქეთა მიღებებს, რომლებიც ძირითადად როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივი განცხადებით მომმართველენ საკითხებით, რომლებიც ეხებოდა ერთჯერად ფინანსურ დახმარებას, დასაქმებას, საერთო საცხოვრებელი კორპუსების, საცხოვრებელი სახლის სახურავებისა და ეზოების მოწესრიგებას, გაზიფიცირებას, ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას. განცხადებები გადაეგზავნა მერიის შესაბამის სამსახურებს.

როგორც გიორგი ჭყონდიდელის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი, ვაწყობდი გასვლით შეხვედრებს მოსახლეობასთან ჩემს საარჩევნო უბანში. შეხვედრების შემდეგ ანალიზი უკეთდებოდა მოქალაქეთა მიღების დროს დასმულ საკითხებს, რიგი საკითხები გათვალისწინებული იქნა პრიორიტეტების მიხედვით და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით დაფინანსდა 36 ადამიანის მკურნალობისა და ოპერაციის ხარჯები სულ 30 142.15 ლარის ოდენობით, ხოლო მედიკამენტებით დაფინანსდა 74 ადამიანი, სულ 7 400 ლარის ოდენობით.

2015 წლის განმავლობაში გიორგი ჭყონდიდელის ადმინისტრაციულ ერთეულში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

რჩეულიშვილის ქუჩის N2-ის მიმდებარე ტერიტორიაზე გაკეთდა სკვერი და მოეწყო ბავშვთა გასართობი მოედანი; უფასო კვების სასადილო ბენეფიციარების მოთხოვნით გადავიდა დასახლების ცენტრში; განხორციელდა ხეების გადაბელვა და მოსახლეობის შემთხვევით მომარაგება; მოხდა სტიქიით დაზარალებულ კორპუსებისა და კერძო ბინების რეაბილიტაცია, ზედგენიძის ქუჩაზე მცხოვრები ოჯახების გაზიფიცირება.

ასევე ჭყონდიდელის დასახლებაში მოხერხდა საბავშვო ბაღის ნაწილობრივი შეკეთება. დაემატა ახალი ჯგუფები. იმისათვის, რომ გათბობის, კონდიციონერების, განათების, ვენტილაციის და თბოიზოლაციისათვის ერთობლიობაში მოხმარებული იქნეს მაქსიმალურად ნაკლები ენერგია, მიმდინარეობს ბაღის შენობაში ენერგოეფექტური ტექნოლოგიის დანერგვა.

სოციალური და სამედიცინო დახმარების მხრივ განხორციელდა: მზრუნველობა მოკლებული მოხუცების ხელშეწყობა მოხუცთა თავშესაფარში გადასაყვანად; შშმ პირთა მოსახლეობისთვის ინვალიდის ეტლების გადაცემა; მერიის ჯანდაცვის პროგრამით მოსახლეობის გარკვეული ნაწილის დაფინანსება სამკურნალო-საოპერაციო თანხებით და მედიკამენტებით 100 ლარის ფარგლებში; 250 ლარის ფარგლებში უსინათლო მოსახლეობის დახმარება კომუნალური გადასახადებისათვის; მრავალშვილიანი ოჯახების დასაჩუქრება სადღესასწაულო ღონისძიებებზე; მოსახლეობის დახმარება სასადილოში კვების უფასო ტალონებით; მოეწყო „დაპურების აქცია“ ჩოხოსნების მიერ.

ჭყონდიდელის დასახლებაში ასევე დახმარება გაეწიათ დაუკანონებელ ფართში თვითნებურად შეჭრილ მოსახლეობას; 300-მდე სკოლის მოსწავლე დასაჩუქრდა; დასუფთავების სამსახურის მიერ მოეწყო შაბათობები; შეძლებისდაგვარად ხელი ეწყობა მოსახლეობის დასაქმებას; განხორციელდა უბნის პასპორტიზაცია და აღწერა; მოხდა ვეტერანთა გამოკითხვა.

დაიგეგმა:

გარე-განათების მოწესრიგება; ბელიაშვილის, მაზნიაშვილის, გოგოლისა და გრანელის (ეკონომ) რეაბილიტაცია; ჭყონდიდელი-თბილისის სამარშრუტო ხაზის გაკეთება; საბავშვო მოედნების მონტაჟი; მინი-სტადიონების მონტაჟი; პოლიციის განყოფილების და მუნიციპალიტეტის შენობების მშენებლობა; „ლიბერთი ბანკის“ ბანკომატის მონტაჟი; შიდა ეზოების მოხრეშვა; საბავშვო ბაღის რემონტი; სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია გიორგაძის ქუჩაზე; გამწვანება - რეკრეაციული ზონის განახლება; ნაგვის და სამშენებლო ნარჩენების გატანა-გასუფთავება; ნაგვის ურნების შეცვლა-დამატება, მეეზოვეების დამატება.

გიორგი ჭყონდიდელის ადმინისტრაციულ ერთეულში რუსთავის წყალ-კანალის მიერ შესრულდა და დაიგეგმა შემდეგი სამუშაოები:

შეიცვალა ავარიის შედეგად დაზიანებული 130 მეტრი წყლის და 70 მეტრი კანალიზაციის მილები. რჩეულიშვილის ქუჩის 10-10ა - შეიცვალა წყლის მილი 18 მეტრზე; ნეკრასოვის ქუჩაზე შეიცვალა წყლის სისტემა 220 მეტრზე; ჯავახიშვილის ქუჩაზე შეიცვალა წყლის მილი 120 მეტრზე; მაზნიაშვილის ქუჩაზე მთლიანად გამოიცვალა წყლის სისტემა; რჩეულიშვილის ქუჩის 16 - შეიცვალა კანალიზაციის სისტემა.

დაგეგმილია ზედგენიძის მთელ ქუჩაზე კანალიზაციის სისტემის გაყვანა; ბელიაშვილის ქუჩაზე ცენტრალური წყლის მილსადენის გაყვანა; გოგოლის ქუჩაზე მთლიანად წლის სისტემის შეცვლა; წყლის სისტემა შეცვლა დაიგეგმა ასევე: ტოლსტოის ქჩია 30-დან გოგოლის ქუჩის 29-მდე, რჩეულიშვილის ქუჩის 16-დან გოგოლის ქუჩის 41-მდე; რჩეულიშვილის 10-დან ტოლსტოის ქუჩის 9-მდე; რჩეულიშვილის ქუჩის 12-დან ტოლსტოის ქუჩის 19-მდე.

რეაბილიტირებული იქნა გოგოლის, ბელიაშვილის, მცხეთის, გოგოლი-ტოლსტოის დამაკავშირებელი ქუჩები. საერთო ჯამში დაიგო 4,5 კმ. ასფალტ-ბეტონის საფარი.

მოეწყო 4 საბავშვო გასართობი მოედანი.

ენერგო-პროს მიერ შესრულებული და დაგეგმილი სამუშაოები:

შეიცვალა მაღალი ძაბვის კაბელები მთლიანად; გაკეთდა ახალი საჰაერო ხაზი კილომეტრ ნახევარზე; ჭყონდიდელის დასახლება გადავიდა ახალი კვების წყაროზე „რუსთავი 220“-ზე; შეიცვალა 9 ტრანსფორმატორი; 04 კილომეტრზე გაკეთდა ახალი ხაზები. დაგეგმილია: ტრანსფორმატორების პუნქტების გადახურვა; პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოები.

მინდა შევეხო საგარეო ურთიერთობებს.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დელეგაცია 2015 წლის 7 ოქტომბრიდან იმყოფებოდა ფილიპინების რესპუბლიკაში, იზაბელას პროვინციაში, ქალაქ კაუაიანსიტიში და სანტიაგოში. დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო და დაიდო ორმხრივი შეთანხმების მემორანდუმი ქალაქების რუსთავისა და კაუაიანსიტისა და სანტიაგოს დამშობილებისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელსაც ხელი მოვაწერე მე, რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ და კაუაიან სიტის მერმა ბერნარდ ფაუსტინო დიმ. უახლოეს მომავალში დელეგაციას ველოდებით საპასუხო ვიზიტით.

რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებთან და მერიის წარმომადგენლებთან ერთად ინვესტიციების მოზიდვისა და არსებული ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, ვუმასპინძლეთ საკრებულოში უცხო ქვეყნების დელეგაციებს პოლონეთიდან, ლიტვიდან, ბელორუსიდან და სხვა.

საკრებულოს აპარატი საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოფდა საკრებულოს, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს ფრაქციების, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფების და საკრებულოს თანამდებობის პირების ეფექტური საქმიანობისათვის შესაბამისი პირობების შექმნას და დახმარებას უწევდა საკრებულოს წევრებს მათი უფლებამოსილების განხორციელებაში. მოსახლეობას სისტემატურად აწვდიდა ინფორმაციას საკრებულოსა და საკრებულოს თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ, ორგანიზაციულად უზრუნველყოფდა მოქალაქეთა ურთიერთობას საკრებულოსთან და საკრებულოს თანამდებობის პირებთან.

შეიძლება ითქვას, ახალი მოწვევის საკრებულოს მუშაობა 2015 წელს იყო წარმატებული და ეფექტური, თუმცა კვლავ მეტი მუშაობა გვმართებს. მე და სრულიად წარმომადგენლობითი ორგანო, ყოველთვის მზად ვართ ვიდგეთ მოსახლეობის გვერდით, ღრმად ვარ დარწმუნებული ყოველი მომდევნო წელი გაცილებით უკეთესი იქნება ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის.